

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 7

ქ.ვანი თავისუფლების N65

3 აპრილი 2018 წელი

11 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, დავით ხარძეიშვილი, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, პაატა ხურციძე, რობიზონ ფუტყარაძე, დავით ადეიშვილი, სანდრო ხურციძე, აპოლონ რამიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, ბიჭიკო პაიკიძე, გია ხარაბაძე, გია ოჩხიკიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირები:

მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი - ვანდა გიორგაძე

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გიგა გოგიბერიძე. (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს./ვანდა გიორგაძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.

მომხს: /ტარიელ ბარამიძე/

3.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურსაკითხთხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2018 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცება.

მომხს:/გიგა გოგიბერიძე/

4.სხვადასხვა.

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ქალბატონმა ვანდამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართვებლობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის და 61 -ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერიას დადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ხელშეკრულება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გი-ან 2011“-თან შემდეგი სამუშაოების განხორციელების თაობაზე:

- ა) ქ. ვანში წერეთლის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით 195397, 08 ლარი;
- ბ) ქ. ვანში გიორგამის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით 194720,48 ლარი;
- გ) ქ.ვანში წმინდა ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით 409698,59 ლარი;
- დ) ზედა ვანი გადიდის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით 249183,84 ლარი.

კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა გიგამ მომხსენებელს ქალბატონ ვანდას მიმართა კითხვით:

ვინ არის პასუხისმგებელი შესრულებული სამუშაოების ხარისხზე?

მომხსენებელმა განმარტა, რომ მერიის სამსახური ამოწმებს მიმდინარე სამუშაოებს ხოლო პასუხისმგებელი პირი არის შ.პ.ს მონიტორინგის სამსახური.

კომისიის მხრიდან სხვა მოსაზრებები არ დაფიქსირებულა

გადაწყვეტის:

დამტკიცდეს და მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

/დანართი N2/

მომხრე - 8
წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ტარიელ ბრამიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და განმარტა, რომ რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2016 წლის 30 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N31 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 6800,0 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 2126,9 ათასი ლარის მოცულობით.

გადაწყვიტეს:

კომისიამ განიხილა და მოიწონა ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეორე საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N3/

მომხრე - 8
წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა გიგამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურსაკითხთხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2018 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცება, კერძოდ;

აპრილი - ივნისი

აპრილი

გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხების განხილვა.

მაისი

ვანის მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა.

ივნისი

ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა დაგეგმვისა და დგომის გაჩერების წესების დადგენის შესახებ.

გადაწყვეტის;

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურსაკითხთხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2018 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მესამე საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად.

/დანართი N 4/

მომხრე - 8
წინააღმდეგი - არცერთი

მეოთხე საკითხად სხვადასხვაში კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო, რომ კომისიის რიგითი სხდომა გაიმართება ყოველი თვის მე - 3 კვირის ოთხშაბათ დღეს, ხოლო თუ დასვენება იქნება ამ დღეს სხდომა გაიმართება მომდევნო სამუშაო დღეს.

გადაწყვეტის

კომისიამ მოიწონა და მხარი დაუჭირა კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ საკითხს.

მომხრე - 8
წინააღმდეგი - არცერთი

კომისიის გადაწყვეტილებით დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოწონებულია კომისიის მიერ და საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე დასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხების

და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე